



საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო  
თვის შესრულების  
მიმოხილვა

ბიუჯეტის ექვსი

თბილისი

2010

## თავი I

### საქართველოს 2010 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ექვივი თვის დაზუსტებული გეგმა	ექვივი თვის საკასო შესრულება
შემოსავლები	2,510,925.3	2,517,312.4
გადასახადები	<b>2,196,946.7</b>	<b>2,202,829.4</b>
გრანტები	155,828.6	151,450.2
სხვა შემოსავლები	158,150.0	163,032.8
ხარჯები	2,805,937.0	2,665,989.5
შრომის ანაზღაურება	<b>500,079.9</b>	<b>491,044.8</b>
საქონელი და მომსახურება	392,405.2	350,161.4
პროცენტი	95,833.1	95,824.6
სუბსიდიები	105,600.2	92,103.3
გრანტები	668,353.1	621,567.3
სოციალური უზრუნველყოფა	756,330.2	747,059.9
სხვა ხარჯები	287,335.4	268,228.2
საოპერაციო სალდო	-295,011.7	-148,677.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	307,462.2	253,953.7
ზრდა	<b>343,172.3</b>	<b>290,224.9</b>
კლება	<b>35,710.1</b>	<b>36,271.2</b>
მთლიანი სალდო	-602,474.0	-402,630.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-35,384.3	131,099.1
ზრდა	<b>54,381.5</b>	<b>185,653.9</b>
გალუტა და დეპოზიტები		134,855.0
სესხები	<b>52,301.5</b>	<b>48,718.9</b>
აქციები და სხვა კაპიტალი	<b>2,080.0</b>	<b>2,080.0</b>
კლება	<b>89,765.8</b>	<b>54,554.8</b>
გალუტა და დეპოზიტები	<b>42,992.7</b>	<b>7,338.7</b>
სესხები	<b>46,773.1</b>	<b>47,206.4</b>
შემოსულობა სხვა დებიტორული დავალიანებიდან		9.7
ვალდებულებების ცვლილება	567,089.7	533,729.9
ზრდა	<b>631,262.6</b>	<b>597,638.1</b>
საგარეო	<b>522,905.8</b>	<b>489,281.4</b>

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ექვსი თვის დაზუსტებული გეგმა	ექვსი თვის საკასო შესრულება
სესხები	522,905.8	489,281.4
საშინაო	108,356.7	108,356.7
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	108,356.7	108,356.7
კლება	64,172.9	63,908.2
საგარეო	33,350.6	33,348.8
სესხები	33,350.6	33,348.8
საშინაო	30,822.3	30,559.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	22,000.0	22,000.0
სესხები	347.9	347.9
სხვა კრედიტორული დავალიანება	8,474.4	8,211.6
ბალანსი	0.0	0.0

**შენიშვნა:** კალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებული საბაზებო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

ათას ლარებში

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ექვსი თვის დაზუსტებული გეგმა	ექვსი თვის საკასო შესრულება
შემოსულობები	3,224,671.1	3,205,776.5
შემოსავლები	2,510,925.3	2,517,312.4
არაფინანსური აქტივების კლება	35,710.1	36,271.2
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	46,773.1	54,554.8
კალდებულებების ზრდა	631,262.6	597,638.1
გადასახდელები	3,267,663.8	3,070,921.5
სარჯები	2,805,937.0	2,665,989.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	343,172.3	290,224.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	54,381.5	50,798.9
კალდებულებების კლება	64,172.9	63,908.2
ნაშთის ცვლილება	-42,992.7	134,855.0

**შენიშვნა:** ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებული საბაზებო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

## თავი II

საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის შემოსავლები, არაფინანსური და  
ფინანსური აქტივების კლება

2010 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

### ეკონომიკური ზრდა

2010 წლის იანვარ-მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 4.5 პროცენტით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 4.3 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგებმა. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 4.3 პროცენტით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 95.7 პროცენტს შეადგენს.

2010 წლის პირველ კვარტალში, 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებით წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა: მრეწველობაში 15.9 პროცენტით, ტრანსპორტში 15.1 პროცენტით, ვაჭრობაში 11.7 პროცენტით, სასტუმროებისა და რესტორნებში 11 პროცენტით.

### მონეტარული მაჩვენებლები

2010 წლის პირველ კვარტალში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იანვარ-ივნისში ინფლაციის დონის 2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

იანვარ-ივნისის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. ფასების საერთო დონე გაზარდეს: სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 0.8 პროცენტით, ტრანსპორტში 0.5 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვაშ 0.5 პროცენტით.

2010 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში ლარის საშუალო გაცვლითი კურსი გაუფასურების ტენდენციით ხასიათდებოდა. მარტის თვეში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო ივნისში ერთმა აშშ დოლარმა 1.86 ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის პირველი კვარტალის ბოლოს 2009 წლის დეკემბრის ბოლოსთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 5.1 პროცენტით იყო შემცირებული. ივნისის ბოლოს სარეზერვი ფული წინა წლის დეკემბერთან შედარებით 3.2 პროცენტით შემცირდა და 1814.7 მლნ ლარი შეადგინა. მონეტარული აგრეგატი 3-ის მოცულობამ პირველი კვარტალის ბოლოს 4792 მლნ ლარი, ხოლო მაისის ბოლოს 4906.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად 2.9 და 5.4 პროცენტით მეტია წინა წლის დეკემბერთან შედარებით. მონეტარული აგრეგატი 2-ის მოცულობა პირველი კვარტალის ბოლოს 3.9 პროცენტით, ხოლო მაისის ბოლოს 6.6 პროცენტით გაიზარდა დეკემბერთან შედარებით, რაც შესაბამისად 2222.6 და 2280.5 მლნ ლარის ტოლია.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 2010 წლის მარტში წინა წლის დეკემბერთან შედარებით 2.4 პროცენტით, ხოლო მაისში 5.4 პროცენტით გაიზარდა. დეპოზიტები უცხოური ვალუტით პირველი კვარტალის ბოლოს 2.1 პროცენტით, ხოლო მაისის ბოლოს 4.3 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. 2010 წლის მაისში წინა წლის დეკემბერთან შედარებით 3-ის მულტიპლიკატორმა 0.22 პუნქტით მოიმატა და 2.73 შეადგინა, ხოლო მარტის თვეში 2.69 დაფიქსირდა. პირველ კვარტალში 2-ის მულტიპლიკატორი 1.25 იყო, ხოლო მაისში 1.27 შეადგინა.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2010 წლის მაისში წინა წლის დეკემბერთან შედარებით 1.9 პუნქტით შემცირდა და 71.5 პროცენტს გაუტოლდა.

## საგარეო სექტორი

2010 წლის პირველ კვარტალში საგარეო სავაჭრო ბურუნვამ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15 პროცენტით მეტი, 1359 მლნ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 339 მლნ დოლარი, ხოლო იმპორტი 1020 მლნ დოლარი დაფიქსირდა, რაც შესაბამისად 55 პროცენტით და 6 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2010 წლის იანვარ-ივნისში საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18 პროცენტით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტმა 40 პროცენტით, ხოლო საქონლის იმპორტმა 13 პროცენტით მოიმატა.

2010 წლის იანვარ-ივნისში 2009 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი 3 პროცენტით გაიზარდა და 1510 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი მთლიანი საქონელბრუნვის 16.8 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.1 პროცენტი), უკრაინა (9.7 პროცენტი) და ა.შ.

ექსპორტში 16.3 პროცენტით პირველ ადგილზე თურქეთია, მეორეზე აზერბაიჯანი 14.2 პროცენტით. იმპორტში პირველი ადგილი 17 პროცენტით თურქეთს უჭირავს, შემდეგ ადგილზე კი უკრაინაა 10.8 პროცენტით.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე ფერმენადობებია მთლიან ექსპორტში 17.9 პროცენტი წილით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები (12.1 პროცენტი), შავი ლითონების ჯართი (7.6 პროცენტი), ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული (5.5 პროცენტი), აზოტოვანი სასუქები (5.1 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია მთლიან იმპორტში 13.1 პროცენტი წილით. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები (6.4 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (4.2 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (3.1 პროცენტი) და ა.შ.

### ინფორმაცია საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტების შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ

2010 წლის ექვსი თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 716.7 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 47%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 754.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101%.

- გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 351.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 49%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 358.6 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის  
საგადასახადო შემოსავლები**

ათასი ლარი

d a s a x e l e b a	naer Ti bi uj et i			
	gegna	f aqt i	+/-	%
gad asaxad ebi	2 351 892,5	2 358 626,3	6 733,8	100,3
saSenosavl o gad asaxad i	581 353,4	582 286,4	933,0	100,2
no gebi s gad asaxad i	291 826,4	292 478,2	651,8	100,2
danat ebul i Ri r ebul ebi s gad asaxad i	1 048 037,3	1 049 344,2	1 306,9	100,1
aqc i z i	247 474,9	248 891,9	1 417,0	100,6
sabajo gad asaxad i	34 129,5	34 731,4	601,9	101,8
qonebi s gad asaxad i	118 662,5	118 662,5	0,0	100,0
sxva ar akl asif i cir ebul i gad asaxad i	30 408,5	32 231,8	1 823,3	106,0

- სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 208.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 48%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 244.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 117%.

- გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 155.8 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 29%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 151.6 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97%.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 61.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (59.3 მლნ ლარი) 103%-ია.

ფინანსური აქტივების შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 47.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (46.8 მლნ ლარი) 101%-ია.

ინფორმაცია საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ

2010 წლის ექვსი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის** შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 510.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 46%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 517.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 196.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 46%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 202.8 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%.

სახელმწიფო ბიუჯეტში სახეების მიხედვით ცალკეული გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 545.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (545.1 მლნ ლარი) 100%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 292.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (291.8 მლნ ლარი) 100%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 049.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 048.0 მლნ ლარი) 100%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 248.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (247.5 მლნ ლარი) 101%-ია.
- საბაჟო გადასახადის სახით მობილიზებულია 34.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (34.1 მლნ ლარი) 102%-ია.
- სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადის სახით მობილიზებულია 32.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30.4 მლნ ლარი) 105%-ია.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის**  
**საგადასახადო შემოსავლები**

ათასი ლარი

d a s a x e l e b a	saxel mif o bi uj et i			
	gegna	f aqt i	+/-	%
gad asaxad ebi	2 196 946,7	2 202 829,4	5 882,7	100,3
saSen o savl o gad asaxad i	545 070,1	545 400,2	330,1	100,1
no gebi s gad asaxad i	291 826,4	292 478,2	651,8	100,2
danat ebul i Rir ebul ebi s gad asaxad i	1 048 037,3	1 049 344,2	1 306,9	100,1
aqc iz i	247 474,9	248 891,9	1 417,0	100,6
sabajo gad asaxad i	34 129,5	34 731,4	601,9	101,8
sxva ar akl asif i cir ebul i gad asaxad i	30 408,5	31 983,5	1 575,0	105,2

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 158.2 მლნ ლარის ოდენობით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 46%. მობილიზებულ იქნა 163.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 81.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (81.7 მლნ ლარი) 100%-ია. აქედან,

- პროცენტები – 9.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9.2 მლნ ლარი) 104%-ია.

- დივიდენდები – 68.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68.0 მლნ ლარი) 100%-ია. მათ შორის, ეროვნული ბანკის მოგების სახით - 67.3 მლნ ლარი.

- რენტა – 4.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.5 მლნ ლარი) 89%-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია** 37.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35.2 მლნ ლარი) 107%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 33.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (30.5 მლნ ლარი) 108%-ია. მათ შორის,

- საბაჟო მოსაკრებელი – 11.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.8 მლნ ლარი) 106%-ია;

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 0.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.4 მლნ ლარი) 80%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 10.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9.3 მლნ ლარი) 109%-ია.

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი 0.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.7 მლნ ლარი) 118%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 8.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7.1 მლნ ლარი) 114%-ია;
- საკონსულო მოსაკრებელი – 1.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.4 მლნ ლარი) 106%-ია;
- სატენდერო მოსაკრებელი – 0.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.4 მლნ ლარი) 117%-ია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.2 მლნ ლარი) 97%-ია.
- არასაბაზო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 4.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.7 მლნ ლარი) 99%-ია. მათ შორის,
- საქონლის რეალიზაციიდან – 2.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.6 მლნ ლარი) 103%-ია;
- მომსახურების გაწევიდან – 1.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.1 მლნ ლარი) 94%-ია;
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 39.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (36.5 მლნ ლარი) 109%-ია.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 4.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.8 მლნ ლარი) 87%-ია.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-ივნისის ბიუჯეტების სხვა შემოსავლების  
შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

d a s a x e l e b a	saxel mwifobi ujeti			
	gegna	fakti	+/-	%
sxva Senosavl ebi	158 150,0	163 032,8	4 882,8	103,1
Senosavl ebi sakuTr ebi dan	81 662,6	81 536,9	-125,7	99,8
pr ocent ebi	9 199,6	9 550,5	350,9	103,8
di vi dendeibi	67 983,0	67 985,5	2,5	100,0
r ent a	4 480,0	4 000,8	-479,2	89,3
saqonl i sa da nonsaxur ebi s real izacia	35 187,6	37 695,3	2 507,7	107,1
administ raciul i nosakr ebl ebi da gadasaxdel ebi	30 513,5	33 070,9	2 557,4	108,4
sabajo nosakr ebel i	10 783,0	11 407,9	624,9	105,8
sal icenzi o nosakr ebl ebi	440,2	350,8	-89,4	79,7
sanebar Tvo nosakr ebl ebi	9 298,3	10 130,7	832,4	109,0
saxel mwif o ser tif i kat i nosakr ebl ebi	16,1	16,6	0,5	103,2
sar egis t racio nosakr ebl ebi	691,6	813,5	121,9	117,6
saxel mwif o saeqsper tizo nosakr ebel i	1,9	1,1	-0,8	56,2
saxel mwif o baji	7 120,0	8 087,7	967,7	113,6
sakonsul o nosakr ebel i	1 374,0	1 459,9	85,9	106,3
sat ender o nosakr ebel i	372,0	433,6	61,6	116,6
samxedro saval debul o sansaxuri s gadavadebi s nosakr ebel i	180,0	174,6	-5,4	97,0
sxva ar akl asificirebul i nosakr ebel i	236,4	194,5	-41,9	82,3
ar asabazr o wesit gayidul i saqonl i da nonsaxur eba	4 674,1	4 624,4	-49,7	98,9
Senosavl ebi saqonl i s real izaci idan	2 612,4	2 685,9	73,5	102,8
Senosavl ebi nonsaxur ebi s gawevidan	2 061,7	1 938,5	-123,2	94,0
sanqiebi (j arinebi da saur avebi)	36 476,4	39 592,5	3 116,1	108,5
Ser eul i da sxva ar akl asificirebul i Senosavl ebi	4 823,4	4 208,2	-615,2	87,2

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 155.8 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 29%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 151.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97%.

**არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 36.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (35.7 მლნ ლარი) 102%-ია.

**ფინანსური აქტივების** შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 47.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (46.8 მლნ ლარი) 101%-ია.


გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 7 338.7 ათასი ლარი, საიდანაც 7 282.7 წინა წლების

გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 56.0 ათასი ლარი დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.

### თავი III სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 6 991 213.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 267 663.8 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 46.7%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 3 070 921.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.0%-ია.

საქართველოს 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
6 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები  
(ათას ლარებში)



#### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 691 754.1 ათასი ლარით.

აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 805 937.0 ათასი ლარი, რაც წლიური შესაბამისი მაჩვენებლის 49.3%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 665 989.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.0%-ია.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა**

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 988 636.6 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 343 172.3 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 34.7%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 290 224.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84.6%-ია.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა**


„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 112 306.6 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 54 381.5 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 48.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 50 798.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.4%-ია.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება**

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 198 516.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 64 172.9 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 32.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 63 908.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ია.

**2010 წლის 6 თვის ასიგნებების სტრუქტურა**

(საკასო  
შესრულება)



საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 21.6 ათასზე მეტი პირი, საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ – 166.4 ათასამდე ოჯახი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დევნილების ოდენობამ, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას – 4.0 ათასამდე ოჯახი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიიმართა 81.8 მლნ ლარი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა. კერძოდ, გაიზარდა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია – 70 ლარიდან 80 ლარამდე.
- გრძელდებოდა სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების გაცემა. სულ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის მიიმართა 450.6 მლნ ლარი;
- სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ხორციელდებოდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 81.0 ათასამდე პირი და სულ ამ მიზნით მიიმართა 10.2 მლნ ლარი;
- ლტოლვილთა და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შემწეობებით უზრუნველყოფილ იქნა 219.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი, რომელთა დაფინანსებამ შეადგინა 32.8 მლნ ლარი;

- ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით ხერციელდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების დაზღვევა, კერძოდ: „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 912.7 ათასამდე ბენეფიციარი, „ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 92.9 ათასზე მეტი ბენეფიციარი, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 12.3 ათასამდე ბენეფიციარი, „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 2.8 ათასამდე ბავშვი, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში – 180-ზე მეტი ბენეფიციარი. აღნიშნული ლონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში სულ გადარიცხულ იქნა 80.2 მლნ ლარი. სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე, დაზღვეულ იქნა საქართველოს საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი, სულ 82.0 ათასამდე ბენეფიციარი, რაზედაც საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 7.6 მლნ ლარი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელის დაზღვევაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 2 141.0 ათასი ლარი.
- დაფინანსდა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული და ორგანიზებულად განსახლებული ოჯახების ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, აგრეთვე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კომუნალური ხარჯები.
- შესწავლილ იქნა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 150-მდე ობიექტი, საიდანაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 109 ობიექტს;
- ქ.თბილისში განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი 27-მდე კომპაქტურად განსახლების ობიექტის საკუთრებაში გადაცემის პროცესი იქ ფაქტიურად მცხოვრებ და დამისამართებულ დევნილებზე;
- ქალაქებში გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში ამოქმედდა მიგრაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სადაც დასაქმდნენ პროგრამა „ხიდი“-ს ფარგლებში გადამზადებული კადრები.

• 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის, პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებისათვის, ადგილობრივი სადამკირვებლო ორგანიზაციებისათვის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის გაეროს განვითარების პროგრამის ( ) მხარდაჭერით ჩაუტარდათ სასწავლო ტრეინინგები. დაფინანსდა 73 საარჩევნო ოლქი და ამ ოლქებში შემავალი 3694 საარჩევნო უბანი. აღნიშნული დაფინანსება მოიცავდა ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: საარჩევნო ოლქებისა და უბნების მოწყობის, ინვენტარისა და გადაზიდვის ხარჯები, ოლქების მიერ დაქირავებული დამხმარე და ტექნიკური პერსონალისა და არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქების მიმდინარე რემონტის ხარჯები.

• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებზე გაცემულია 11.5 ათასზე მეტი ვაუჩერი და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სასერთიფიკაციო გამოცდისთვის დარეგისტრირდა 13.5 ათასზე მეტი პედაგოგი;

• საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა წინა წლებში გამარჯვებული 397 მიმდინარე სამეცნიერო პროექტი, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსში გამარჯვებული პროექტები და მოკლევადიანი ინდივიდუალური სამეცნიერო სამოგზაურო გრანტები;

• საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამით ხორციელდება ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა. სტიპენდიებს ღებულობს 500-მდე სპორტსმენი და მწვრთნელი. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 180-მდე ვეტერან სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიებს იღებდა 31 სახელოვანი სპორტსმენი, თითოეული 1000 ლარის ოდენობით;

• საანგარიშო პერიოდში ყველა რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატში შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია არის საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისათვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რამაც გამოიწვია რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატების დაფინანსების ზრდა.

• ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 2010 წელს საქართველო მასპინძლობს 33-ე საერთაშორისო ღვინის კონკრეტული, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე, ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას და

პოპულარიზაციას. საანგარიშო პერიოდში კონგრესის სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მიმდართა 700.0 ათასი ლარი.

- გურჯაანისა და თელავის რაიონებში მიმდინარეობდა არსებული ვენახების გათავისუფლება პიბრიდული ვაზის ნარგაობებისაგან, შესაბამისი კომპენსაციის მიღებით ერთ ჰექტარ ფართობზე 1 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გამოთავისუფლებულია სულ 192.6 ჰექტარი ფართობი. მათ შორის, გურჯაანის რაიონში 130.3 ჰექტარი, ხოლო თელავის რაიონში 62.4 ჰექტარი, რაზედაც გაცემულ იქნა შესაბამისი კომპენსაციები;
- ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის, მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვის მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმდართა 378.3 ათასი ლარი.
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული 7 265.3 ათასი მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 3 270.4 ათასი ლარის ოდენობით.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 221 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიმდართა 160.6 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 500 079.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 491 044.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 18.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 392 405.2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 350 161.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 13.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 20 101.5 ათასი ლარი;  
მივლინებები – 19 863.7 ათასი ლარი;  
ოფისის ხარჯები – 69 183.2 ათასი ლარი;  
წარმომადგენლობითი ხარჯები – 4 849.9 ათასი ლარი;  
კვების ხარჯები – 30 432.2 ათასი ლარი;  
სამედიცინო ხარჯები – 2 897.7 ათასი ლარი;  
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან  
დაკავშირებული ხარჯები – 13 887.1 ათასი ლარი;  
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-  
შენახვის ხარჯები – 41 963.2 ათასი ლარი;  
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 20 147.6  
ათასი ლარი;  
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 126 835.3 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ  
შეადგინა 95 824.6 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 100%),  
რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.6%-ს  
შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა  
განისაზღვრა 105 600.2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ  
შეადგინა 92 103.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.2%-ს, ხოლო  
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.5%-ს შეადგენს.  
სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი  
მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პროფესიული განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი  
დაწესებულებების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევების პროგრამა
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით  
აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა  
18 256.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.2%-ს  
შეადგენს;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სახელოვნებო და სასპორტო განათლება, ხელოვნების, სპორტის განვითარება – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 23 357.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.8%-ს შეადგენს;
- საქართველოს ენერგოსისტემა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 3 309.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78.3% შეადგენს;

**„გრანტების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 621 567.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (668 353.1 ათასი ლარი) 93.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 23.3%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 747 059.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (756 330.2 ათასი ლარი) 98.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 28.0%-ს შეადგენს.


სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სახელმწიფო პენსიები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 424 313.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.3%-ია.
- სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 20 588.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.5%-ია.
- მონეტიზებული სოციალური შეღავათები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 10 156.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია.
- სოციალური დახმარებები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 79 186.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.

- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 32 400.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 287 335.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 268 228.2 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 93.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 10.1%-ს შეადგენს.

2010 წლის 6 თვის ხარჯების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 966 649.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 040 351.3 ათასი ლარი) 92.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 32.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 152 009.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (169 539.5 ათასი ლარი) 89.7%-ია;
- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 631.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 652.1 ათასი ლარი) 88.2%-ია;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 16 753.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 365.2 ათასი ლარი) 91.2%-ია;
- გამოყენებით კვლევებზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 49.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია;
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 96 045.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (96 054.4 ათასი ლარი) 100.0%-ია;
- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 665 700.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (715 961.1 ათასი ლარი) 93.0%;

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 28 459.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 729.4 ათასი ლარი) 89.7%-ია;

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 274 743.2 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 266 429.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.0% ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 9.0%;

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 379 045.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 351 749.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.9%; მათ შორის:**

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 233 107.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (254 312.8 ათასი ლარი) 91.7%;
- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 30 731.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 233.2 ათასი ლარი) 95.3%-ს შეადგენს.
- საჯელადსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 51 987.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (53 852.0 ათასი ლარი) 96.5%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 50.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (56.8 ათასი ლარი) 88.4%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა

35 873.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (38 590.8 ათასი ლარი) 93.0%-ს შეადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვის გეგმაში შეადგინა 263 567.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 223 989.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.6%. მათ შორის:

- საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 14 667.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 741.7 ათასი ლარი) 93.2%;
- სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 7 405.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 513.9 ათასი ლარი) 70.4%-ს შეადგენს.
- სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 4 955.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 890.3 ათასი ლარი) 84.1%-ს შეადგენს.
- ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 154 978.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (185 591.9 ათასი ლარი) 83.5%;
- ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 20 658.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 379.0 ათასი ლარი) 88.4%;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში კვლევების და განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 3 396.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 614.2 ათასი ლარი) 94.0%-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 17 927.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 836.2 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს.

გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვის გეგმამ შეადგინა 10 683.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 8 127.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.1 %, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.3%. მათ შორის:

- გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 1 743.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 022.9 ათასი ლარი) 86.2%;
- ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2 155.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 648.7 ათასი ლარი) 59.1%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 489.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (505.5 ათასი ლარი) 96.9%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3 738.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 506.8 ათასი ლარი) 83.0%-ს შეადგენს.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვეში დაგეგმილი იყო 11 252.2 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 10 428.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.4%. მათ შორის:

- კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 619.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 319.7 ათასი ლარი) 47.0%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 9 809.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 932.5 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს.

**ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვის გეგმა განისაზღვრა 208 745.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 202 782.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 97.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.9%. მათ შორის:**

- სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 369.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (379.5 ათასი ლარი) 97.5%;
- ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 21 992.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 461.0 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს.
- საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 61 072.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (63 663.9 ათასი ლარი) 95.9%;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 33 258.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 791.3 ათასი ლარი) 92.9%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 260.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (264.1 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 85 827.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (86 185.8 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

**დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვეში განსაზღვრული იყო 92 113.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 82 314.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის**

89.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.8%. მათ შორის:

- დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 20 827.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 155.7 ათასი ლარი) 89.9%;
- კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 23 403.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 709.5 ათასი ლარი) 84.5%-ს შეადგენს.
- ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 18 443.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (18 812.5 ათასი ლარი) 98.0%;
- რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 17 180.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 672.9 ათასი ლარი) 87.3%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 459.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 762.8 ათასი ლარი) 89.0%-ს შეადგენს.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვის გეგმამ შეადგინა 243 411.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი – 229 635.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.8%. მათ შორის:

- ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 176 594.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (181 616.3 ათასი ლარი) 97.2%-ს შეადგენს.
- პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 5 270.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 524.7 ათასი ლარი) 95.4%;


- უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 26 308.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 361.9 ათასი ლარი) 86.6%-ს შეადგენს.
- უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 8.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (11.0 ათასი ლარი) 72.7%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 12 317.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 699.1 ათასი ლარი) 89.9%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 9 136.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 198.0 ათასი ლარი) 74.9%-ს შეადგენს.

**სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 6 თვეში განსაზღვრული იყო 625 196.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 614 108.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 20.8%. მათ შორის:**

- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 7 920.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 051.4 ათასი ლარი) 87.5%;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 450 642.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (455 724.1 ათასი ლარი) 98.9%-ს შეადგენს.
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 95 769.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (97 331.4 ათასი ლარი) 98.4%;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 950.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 039.7 ათასი ლარი) 46.6%;

- სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 44 862.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (46 132.8 ათასი ლარი) 97.2%;
- სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 13 963.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 916.7 ათასი ლარი) 93.6%-ს შეადგენს.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 32 228.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 26 807.0 ათასი ლარი.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 25 928.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა – 24 050.3 ათასი ლარი.

## საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 ივლისის მდგომარეობით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 96 130.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა – 85 672.4 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხიდან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ანაკლიის პატრიოტული ბანაკის მშენებლობისათვის გამოეყო 2 300.0 ათასი ლარი, სახელმწიფო ოწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველს ქალაქ ფოთში გამოეყო 12 366.0 ათასი ლარი (მათ შორის დაბა მესტიაში ყინულის მოედნის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 550.0 ათასი ლარი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათებისათვის – 2 000.0 ათასი ლარი, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლისა და წყალმომარაგიბის მოწესრიგებისათვის – 9 816.0 ათასი ლარი), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წყლით უზრუნველყოფის რეგიონული განვითარების სააგენტოს გამოეყო 3 700.0 ათასი ლარი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გამოიყო 4 300.0 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილია 73 464.9 ათასი ლარი, საიდანაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხულია 68 790.4 ათასი ლარი.

**წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების  
დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის  
მიმართული სახსრები**

2010 წლის 6 თვეში წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარავად გამოყოფილი იქნა 8 532.5 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 8 269.7 ათასი ლარი. მათ შორის:

— წლიური საბიუჯეტო კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისათვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული

ასიგნებებიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატს გამოეყო 33.4 ათასი ლარი (ათვისება – 100%), ხოლო ადგილობრივი

თვითმმართველ ერთეულების ბიუჯეტებს – 58.1 ათასი ლარი (ათვისება – 100%);

